ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№28 (62) ოქტომბერი, 2007 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმს პრეზიდენტი და მთავრობის წარმომადგენლები სტუმრობდნენ

ლეჩხუმს სამთავრობო დელეგაცია სტუმრობდა, საქართველოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბატონი ალექსანდრე ლომაია, რომელთაც რაჭა–ლეჩხუმ–ქვემო სვანეთის რწმუნებული ბატონი ოთარ სირაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ომარ ჭაბუკიანი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ვახტანგ კერესელიძე, მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი ავთანდილ სილაგაძე და ლეჩხუმის საზოგადოება მასპინძლობდა.

სტუმრებმა პირველად ახალგარემონტებული ცაგერის საჯარო სკოლა მოინახულეს, სადაც პედაგოგებიც და მოსწავლეებიც სათანადოდ მომზადებული დახვდნენ. მათ მეგზურობას უწევდა ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორი ქ-ნი ნუნუ ჩაკვეტაძე. სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის შენობა და ფრიად მოიწონეს აქაური გარემო.



სკოლიდან დელეგაციამ ცაგერის მიხეილ გვიშიანის სახელობის პარკში გადაინაცვლა, სადაც მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძრის მშენებლობა იკეთებოდა. უწმინდესმა და უნეტარესმა აკურთხა ტაძრის მშენებლობის ადგილი, მან იქადაგა იმ მადლზე, რომელსაც ლეჩხუმი წმიდა მაქსიმეს აქ განსვენებით ფლობს, აღნიშნა, რომ ამ ტაძრის მშენებლობა თითოეული ლეჩხუმელისათვის, თითოეული ადამიანისათვის მნიშვნელოვანია, და რომ ეს მეტ სიკეთეს მოუტანს ლეჩხუმს.

აქვე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი, მან ბევრ სასიამოვნო სიტყვასთან ერთად ლეჩხუმელებს იმედიც მისცა, რომ მალე გაკეთდება გზა, რომელიც აქაურთათვის უმთავრესი პრობლემაა, წყალსადენი, რომლითაც უწყლობის პრობლემა მოგვარდება, შეიქმნება პროფესიული გადამზადების ცენტრი, და რაც სულიერების თვალსაზრისით ყველაზე მთავარია, მალე აშენდება მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძარი, რომლის მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი თავადაა.

მანვე გადასცა სიტყვა პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რომლის საუბრის ამოსავალი წერტილი ლეჩხუმელობა გახლდათ. ქალბატონმა ნინომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ლეჩხუმელ ხალხს შრომა არ ეშარება, მათზე დამოკიდებულს, მათს გასაკეთებელს აქაურები დაუზარებლად აკეთებენ. მთავრობისაგან ხელისშეწყობა კი, რაც აუცილებლად გვესაჭიროება, უშუალოდ პრეზიდენტს სთხოვა ქალბატონმა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სტუმრებს ცაგერი–ლენტეხის გაერთიანებულმა სასამართლომ უმასპინძლა, ქალბატონი ლეილა გურგუჩიანს ხელმძღვანელობით.

რის შემდეგაც მეუფე სტეფანემ პატრიარქთან ერთად მოილოცა წმიდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავზე.

საზეიმო დღე კონცერტით დაგვირგვინდა, რომელიც გაიმართა ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში და რომლისთვისაც გულდაგულ ემზადებოდა კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (ხელმძღვანელი გოგი კვირიკაშვილი).

პრეზიდენტის სტუმრობის შემდეგ ჩვენთვის კომენტარი გააკეთა მხარის რწმუნებულმა ბატონმა ოთარ სირაძემ. მან აღნიშნა, რომ ასეთი რანგის სამთავრობო დელეგაციის სტუმრობა ფრიად მნიშვნელოვანია ლეჩხუმისათვის, პრეზიდენტის მიერ დასახული პროგრამების განხორციელებას ხელს შეუწყობს ადგილობრივი და სამხარეო მთავრობა.

მაქსიმე აღმსარებლის ტაძრის მშენებლობა კი ფრიად მნიშვნელოვანია, როგორც სულიერების, ასევე მხარეში ტურიზმის განვითარების მხრივ.

ლეჩხუმი მადლიერია პრეზიდენტის და მთავრობის წევრების სტუმრობით, იმით, რომ აქაური პრობლემებით დაინტერესდა უმაღლესი ხელისუფლება და იმედს ვიტოვებთ, ჩვენთან მალე იქნება სასიკეთო ცვლილებები ლეჩხუმელთა კეთილდღეობისათვის.

გამარჯობა, აფხაზეთო შენი!

გალაკტიონ ტაბიძე

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!–
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორიავ.
მომენეტრა მზე, სინათლის მფენი;
მომენატრა ზღვა, რომელიც შორიავ.
მომაგებე შენ იგივე ჰალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა.
გადინერა ჩუმად ლექსი ჩემი;
მომაგებე მშობლიური გემი,
მომაგებე მშობლიური მინა,
შენი ძველი მეგობარი მიყვან.

აფხაზეთის ომი ჩვენთვის მოულოდნელი ტკივილია... სექტემბერი უფრო ამძაფრებს ამ ტკივილს, მაგრამ მალე დადგება დრო, როცა საქართველო დაიბრუნებს აფხაზეთს და გამთლიანდება!

ღუდუ–90

წლის მთავარი ღონისძიება ღირსეულად ჩატარდა. ლადოობის ლამაზი დღე შედგა–ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ორიგინალური პროგრამით.

მივყვეთ ღონისძიების მსვლელობას: 6–ოქტომბრის 12^{00} საათია, სოფელ ბარდნალაში ლადო ასათიანის სახლმუზეუმში თავი მოიყარეს მწერალთა კავშირის, რაიონის საზოგადოებრიობის, კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა, სხვა სტუმრებმა.

მიუხედავად ავადმყოფობისა სტუმრებს გულთბილად შეხვდა პოეტის და ქალბატონი მედიკო ასათიანი.

პოეზიის დღესასწაული გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ომარ ჭაბუკიანი.

ღონისძიება მიჰყავდა კულტურის სახლის დირექტორს დარეჯან საღინაძეს. ლადო ასათიანის ცხოვრებისა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ: თეიმურაზ ლანჩავა–იმერეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი–ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, მთვარისა ახვლედიანი–ბარდნალის საჯარო სკოლის დირექტორი, ლია გვენეტაძე–პოეტი და ჟურნალისტი, ზაალ ებანოიძე–მწერალი ლადო ასათიანის პრემიის ლაურიატი, ოთარ ჭუმბურიძე, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, კახა მდივანი–ქ. თბილისში მოღვაწე პოეტი. წარმოშობით ლეჩხუმელი, ამირან ხვადაგიანი–ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე, თემურ ამყოლაძე–ჟურნალ განთიადის რედაქტორის მოადგილე. თემურ გოგიძე–მსახიობი.

გამოსვლათა შუალედებში რაიონის თვითმოქმედი კოლექტივების აკადემიური გუნდის, ჭაბუკთა ფოლკლორული ანსამბლის „ხვამლი“, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „სალაღობო“, ქალთა ანსამბლის, სოლისტების გულნაზ გოლეთიანის, ვალიდა ბენდელიანის, ნათია მიქაძის და სხვათა მიერ შესრულებული სიმღერებით მაყურებელი კმაყოფილი დარჩა.

შესანიშნავი იყო ლიტერატურული კომპოზიცია ლადო ასათიანის შემოქმედების მიხედვით, რომელიც შეასრულეს ზაზა ყურაშვილმა, დარეჯან საღინაძემ, ნატო სილაგაძემ და ვახო გოგიძემ.

ზეიმი ლადო ასათიანის მამაპაპისეული სახლის მარანში გაგრძელდა, ლეჩხუმური პურ–მარილი სტუმრებმა სიამოვნებით მიიღეს.

დღის 15^{00} საათზე ქ. ცაგერის ლ. ასათიანის სახელობის პარკში მოხდა პოეტის ძეგლის შემკობა ყვავილებით.

ღონისძიებაში, რომელიც ახალგაზრდობის სამსახურის (მთ. სპეციალისტი თამილა ჭაბუკიანი) ხელმძღვანელობით მოეწყო მონაწილეობა მიიღეს ქ. ცაგერის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელებმა.

ლ. ასათიანის ძეგლი მორთული იყო ყვავილებით. საზეიმო ელფერს სიკაშკაშეს ჰმატებდა კრწანისის ყაყაჩოები და საპატიო გვირგვინი საიუბილეო წარწერით.

16^{00} საათზე კულტურის სახლში შედგა ცაგერის გრიშა მდივნის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლის „სიჭაბუკის სიმღერა“–პრემიერა ო. მამფორიას პიესის მიხედვით, რომელიც ეძღვნება ლადო ასათიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

თემა იმდენად აქტუალურია, რომ მისდამი ინტერესი დიდი იყო. მიღებულმა ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მაყურებელი კმაყოფილი დარჩა მოქმედ პირთა და შემსრულებელთა ოსტატობით:

ვახო გოგიძე–ლადო, ოტელო მდივანი–მექი, მანანა კოპალიანი–ანა, დარეჯან საღინაძე–ცირა, სოზარ ბენდელიანი–ნოე, ზაზა ყურაშვილი–ნიკა, რუბენ გოგიძე–ქუტატე, ვოლგემ კოპალიანი–ილო, ალბერტ ბენდელიანი–ტიტიკო, გიორგი შკუბულიანი–ჟრა, გიორგი გოგიძე–ივერიკო, ზორაბეგ ცვარიანი–მირზა, ნატო სილაგაძე–პისტი, გულნაზ გოლეთიანი–ვარდო.

სპექტაკლის წარმატებულ პრემიერაში დიდი როლი ითამაშეს და ბოლომდე დაიხარჯნენ რეჟისორები ზაზა ყურაშვილი და დარეჯან საღინაძე.

სპექტაკლის მხატვრული მხარე გააფორმა ნუგზარ კოპალიანმა, მუსიკალური მხარე უზრუნველყოს ზაზა ყურაშვილმა.

ლადოობის ზეიმის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა „მწვანე თეატრზე“, მაყურებლის წინაშე შეს „ორერას“ (ხელმძღვანელი: ნანა კელაპტრიშვილი) ეგიდით წარსდგნენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები: ეკა კვალიაშვილი, თამუნა ამონაშვილი, ნინო ძოწენიძე, ვეფა ბოჯგუა, ვეგუფი „სეიშენი“ და სხვები. საესტრადო მუსიკის ზეიმს მწვანე თეატრზე აქტიურად უჭერდა მხარს ახალგაზრდობა, რამაც ზეიმი განწყობილება კიდევ უფრო აამაღლა.

ქართული ესტრადის ვარსკვლავთა კონცერტის ჩატარების ინიციატორი იყო ბატონი ვალერი გიორგობიანი საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ოფისის მხარდაჭერით, ღონისძიება დაფინანსა რაიონის ბიუჯეტმა.

ლადო ასათიანის 90 წლის იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებაზე დასასწრებად ლეჩხუმში იმყოფებოდნენ საპატიო სტუმრები: საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი დავით კირკიტაძე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ლადო ვარძელაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული რაჭა–ლეჩხუმ–ქვემო სვანეთში ოთარ სირაძე, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ხვადაგიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი ვალერი გიორგობიანი და სხვები.

უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის, პოლიციის სამმართველოს აქტიური მხარდაჭერის შესახებ ღონისძიების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარების საქმეში. დიდი მადლობა ჟურნალ განთიადის რედაქტორს ბ–ნ ავთო ყურაშვილს ჩვენადმი დიდი ყურადღებისათვის.

ქება და ქება კულტურის გაერთიანებული სამსახურის ყველა თანამშრომელს თავდადებული შრომისა და გარჯისათვის, რომელთა მიზანდასახულმა მრავალთვიანმა საქმიანობამ განაპირობა წარმატებული საბოლოო შედეგი.

***P.S.** ლადო ასათიანის შვილი ქალბატონი მანანა ჯანმრთელობის გამო ლეჩხუმში სამწუხაროდ ვერ ჩამობრძანდა, თუმცა მასთან სატელეფონო კავშირი სისტემატიურად გვქონდა, ღონისძიების ყველა დეტალი პოეტის ოჯახთან შეთანხმებული იყო, ყველანი მადლიერებას გამოხატავდნენ ჩატარებული იუბილის გამო.*

ლადოობის დღესასწაულის ეიფორია ცაგერში კიდევ კარგა ხანს გასტანს, მოხდება სპექტაკლის მრავალჯერადი ჩვენება. ვეცდებით მოვიზიდოთ მთელი რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა, რაც ლადო ასათიანის უკვდავყოფისათვის, მისი შემოქმედების პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

გოგი კვირიკაშვილი,

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი.

მთელი ლეჩხუმი გაფასებთ და გილოცავთ!

აგერ უკვე სამი წელია ცაგერის ილია მართლის სახელობის გიმნაზია მართალია ფუნქციონირებს, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, ოფიციალური ლიცენზიის მისაღებად ამდენივე წელია „იბრძვის“. ამ სამი წელიწადის მანძილზე სასწავლებელმა მოსწავლეთა კონტიგენტიც სტაბილურად შეინარჩუნა, პედაგოგთა ენთუზიაზმი და დათმინების დიდი ნიჭიც. დასანანია, თუ ვიტყვით, რომ ამასობაში ლენტეხის გიმნაზია ამავე ლიცენზიის არქონის გამო დაიხურა...

ცაგერის გიმნაზიისათვის ლიცენზიის არარსებობა, თუ არ ჩავთვლით ხელფასების არარსებობასაც, ხელს არაფერში უშლიდა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მწყემსმთავარს, მეუფე სტეფანეს, რომლის ლოცვა-კურთხევითა და ხელმძღვანელობით გიმნაზიაში არა ერთი საინტერესო ღონისძიება, ზეიმი, კონფერენციები ეწყობოდა, და ეწყობოდა იგი არა მარტო ლეჩხუმელთათვის, არამედ დედაქალაქში გამართულმა კონცერტებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისელ მაყურებლებზეც... თვით უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღნიშნავდა, ჩვენი ბავშვები თავიანთი ნიჭით, შემოქმედებითა და მონდომებით არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ ნებისმიერ ქალაქის სკოლებსა და გიმნაზიებს.

გიმნაზიის არსებობის მესამე წელს, ცაგერს საქართველოს პატრიარქი, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და განათლების მინისტრი ერთად ესტუმრნენ და რადგან ამ ქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება, ასეთმა ერთიანობამ შედეგი გამოიღო —სტუმრობიდან ერთი კვირის ვადაში სასწავლებელმა ოფიციალურად გაფორმებული ლიცენზია მიიღო.

დიდი შრომა, რუდუნება, ნერვები და ღვაწლი დასჭირდა ყველაფერ ამას და გიმნაზიასთან ერთად ყველამ უკლებლივ გავიხარეთ!

ჩვენ მთელ ლეჩხუმთან ერთად გავიზიარეთ ეს დიდი სიხარული და ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოს სტეფანეს ინტერვიუც ვთხოვეთ:

—მეუფეო! პირველ რიგში გილოცავთ იმ დიდ სიხარულს, რომელსაც სამი წელია ელით! მოდით, სულ ახლახანს ჩავლილი ვიზიტით დავიწყოთ: საქართველოს პრეზიდენტის, პატრიარქის, პარლამენტის თავმჯდომარისა და განათლების მინისტრის სტუმრობა უდიდესი მოვლენა იყო მთელი ლეჩხუმისათვის, განსაკუთრებით კი მორწმუნეთათვის, რადგან წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძრის კურთხევამ მათი უშუალო მონაწილეობით ჩაიარა.

—დავიწყოთ იქედან, რომ წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძრის აღმართვის შესახებ პრაქტიკულად არსებობდა სრული ერთიანობა და თანხმობა. მთავარი პრობლემა გადაწყვეტილია. ყველამ აღიარა აქ, ამ ადგილას საფლავის არსებობა. ამ წმინდანის სახელის წინ წამოწევა სასიკეთოდ წაადგება არა მარტო ლეჩხუმს, არამედ რეგიონს და შეიძლება თამამად ვთქვათ—საქართველოსაც. როცა იქ ტაძარი აშენდება, მოხდება ამ რეგიონის ფართოდ აღიარება. ეს მომენტი დაადასტურა კიდეც ყველა სტუმარმა. ეს ტაძარი არ იქნება მხოლოდ ტაძარი, რომელიც აიგება და მორჩა! ეს იქნება საყოველთაო მოვლენა, რომელიც საქართველოს მთელ ღირსებებს წამოწევს წინ. უამრავი ქვეყნები ცხოვრობენ სიწმინდების თაყვანისცემით. ამ მშენებლობისას პირველ რიგში სულიერი მხარე უფრო გვაინტერესებს, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც-მატერიალური და ხდება ამ ორი კომპონენტის შერწყმა.

—მეუფეო! ადგილი უკვე ეკურთხა, მერე ალბათ მშენებლობაც დაიწყება...

—ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მშენებლობის პროცესი შეჩერებული იყო, არის მხოლოდ და მხოლოდ შემოდგომის მოსავლის თემა. იმ ადგილზე ადამიანებს ნარგავ-ნათესები აქვთ და ველოდებით მოსავლის აღებას. ამის შემდეგ დავიწყებთ სამუშაოებს. პირველ რიგში უნდა გაითხაროს ექვსი მეტრის სიღრმის თხრილი და შემდეგ გაგრძელდება დანარჩენი საქმე. პატრიარქი კარგა ხანია თანადგომას გამოხატავს, ახლა პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემაც დაადასტურეს თავიანთი პოზიცია. სახელმწიფოს მეთაურმა თქვა კიდეც, რომ მშენებლობა ორ წელიწადში დასრულდება. ამ ტაძარს ჩვენთვის სამების ტაძრის ტოლფასი აქვს.

—პატრიარქის ჩამოსვლას უდიდესი სიხარული დაემთხვა-მალე გიმნიზიამ ლიცენზია მიიღო

—ძალიან დიდი სიხარული აქვთ ბავშვებს, მშობლებს „ბრძოლის“ ერთი ეტაპი დასრულდა. ახლა ჩვენს წინაშე, როგორც ადრე, დგას ხარისხიანი სწავლის და განათლების პრობლემა. თუმცა ჩვენ ეს ადრეც დავადასტურეთ—გავაკეთეთ რამდენიმე აქცია, კონცერტი თბილისში და ჩვენი ბავშვები ყველგან ღირსეულად გამოიყურებოდნენ, არავის ჩამორჩებოდნენ თავიანთი შემოქმედებით, ნიჭიერებით, თუნდაც ფორმით.

—რემონტი უკვე დასრულდა?

—ჯერ არა. აქვე მინდა მადლობა ვუთხრა ადგილობრივ ხელისუფლებას, პარლამენტარ ვალერი გიორგობიანს, გუბერნატორს ოთარ სირაძეს, რომ შენობა გადმოგვეცა და მათ მხარდაჭერას ვგრძნობდით. შენობის გადმოცემამ განსაზღვრა პრაქტიკულად შემდგომი დანარჩენი. რაც შეეხება რემონტს—2007 წელში საპატრიარქომ გაითვალისწინა თავის ბიუჯეტში და ამ თანხის ნახევარს ვინახავდი, რათა გიმნაზიისათვის გამომეყენებიანა. დაგროვდა 11 ათას ლარამდე, ცოტაც მიემატა და 20 ათასამდე დაჯდა სულ. ნაწილი ვალიც გვაქვს, ძირითადად საშენი მასალებისა, მუშა-ხელი კი უფასო იყო—მშობლები, მონასტრის წევრები, ბავშვები, მასწავლებლები. გიმნაზია სულ მალე, ერთ-ორ წელიწადში წელში გამართული იქნება.

—პედაგოგები?

—საკმაოდ კვალიფიციური ხალხი გვყავს, არიან ძველი, გამოცდილი თაობა—ნოდარ კოპალიანი, ნანი ქარელაძე, ლარისა მუმლაძე და სხვები, არ მინდა ვინმე გამომრჩეს და ახალი ცვლა—მაყვალა კოპალიანი, ნათია მიქაძე, სოფო მიქაძე, დათო ხეცურიანი, ირინა ქარსელაძე, ყველა შეიძლება ვერც ჩამოვთვალო. სწავლას ძალიან მკაცრად ვუდგებით, რადგან ცოდნას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჩვენი პრინციპი ქრისტიანული პედაგოგიკაა, ჩვენი მასწავლებლები ყოველდღე უანგარობის მაგალითს იძლევიან, ბავშვებიც ცდილობენ მათ მიბაძონ. სასწავლებელში 40-მდე ბავშვია. საგნები კი ძირითადად ქრისტიანული მსოფლმხედველობითაა დატვირთული.

—ასეთი გიმნაზია ლენტეხშიც იყო?

—სამწუხაროა, რომ დაიხურა, მაგრამ შევეცდებით აღვადგინოთ. მადლობა .

—გმადლობთ!

მარინა სვანიძე

რთველი — 2007

რამდენიმე დღის წინ ცაგერის მუნიციპალიტეტს სტუმრად ეწვია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სამტრესტის“ დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი ვასილ მანაგაძე და სამინისტროს კიდევ ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ბერიძე.

საქართველოს რთველის დღეები უდგას, მალე იგი ჩვენთანაც შემოვა და სწორედ ამით იყო განპირობებული მათი ვიზიტი, არც ისაა ვინმესთვის უცხო, რომ საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევს აღნიშნული პრობლემის სწორად და ეფექტურ გადაჭრას.

სტუმრებთან ერთად იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ომარ ჭაბუკიანი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ვახტანგ კერესელიძე. დაათვალიერეს ოყურეშის ტერიტორიულ ერთეულში გაშენებული „უსახელოურის“ ზვრები, შეხვდნენ და გაესაუბრნენ მევენახეებს. ჩვენთან საუბარში ბატონმა ვასილ მანაგაძემ განაცხადა, რომ „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თავკაცთა მოთხოვნისა და პრეზიდენტის უშუალო დავალებით, ჩამოვედით ლეჩხუმში, რათა უკეთ გავცნობოდით აქ რთველისწინა მდგომარეობას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ლეჩხუმში მევენახეობა კიდევ უფრო განვითარდეს და გლეხკაცი მეტად დაინტერესდეს ვაზის კულტურის გაშენებით. თუ მოსახლეობის სურვილი იქნება, თვით ინვენსტორი და გლეხკაცი ერთმანეთთან დალაპარაკებით გადაწყვეტენ“.

ჩვენ ამ ინფორმაციის დასადასტურებლად ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ომარ ჭაბუკიანს მივმართეთ კითხვით, მან დაადასტურა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელთა პოზიცია და აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ერთი წუთითაც არ დავიწყებია კარს მომდგარი რთველიც და არაერთხელ დააყენეს საკითხი ზემდგომ ინსტანციებში და აი, შედეგიც სახეზეა. ჩამოვიდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები, მოინახა ინვენსტორები, მიღწეულია შეთანხმება და ლეჩხუმში არნახული ყურძნის მოსავალი მალე სათანადოდ დაბინავდებაო.

ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ლეჩხუმელი გლეხი ვაზს ისე შეჰყურებს წლიდან წლამდე, როგორც საუკეთესო იმედს, ძალიან სასიამოვნოა ალბათ, როცა რთველის წინ ასეთ ინფორმაციას მიიღებთ.

ახალის მაგივრად

ქვედა ცაგერში დაწყებულია და მიმდინარეობს ახალი წყალსადენის მშენებლობა. ეს არის სოფლის უდიდესი, საშვილიშვილო საჩუქარი. წყალსადენი რამდენიმე კილომეტრს მოიცავს და მოემსახურება მრავალ ოჯახს.

დაჩქარებული ტემპით მიდის წყლის რეზერვუარის, სადეზინფექციო ნაგებობების მშენებლობა, მილების ჩაყრა...

წყალსადენის მშენებლობის შესახებ ვრცელ და დაწვრილებით მასალას შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია

რეორგანიზაციის შემდეგ

მოახლოვდა. ზამთარი, მოსახლეობისთვის აქტუალური გახდა სათბობით მომარაგების თემა. ჩვენს მხარეში ამ მხრივ ძირითადად შეშის მარაგი კეთდება, მაგრამ ამ სეზონისთვის გარკვეულწილად შეიცვალა საწვავის მოპოვების მექანიზმი. საკითხში გარკვევისათვის განმარტებები ვთხოვეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას.

—1 მარტიდან აღნიშნულ უწყებაში მოხდა რეორგანიზაცია, ნაცვლად რაიონული სატყეო მეურნეობისა, ჩამოყალიბდა რეგიონალური სატყეო სამმართველოები შესაბამისი სატყეო უბნებით. ჩვენი რეგიონის შემთხვევაში—ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხის სატყეო უბნები, თითოეული უბანი სათანადო კადრებით დაკომპლექტებული. ცაგერის შემთხვევაში გვყავს 1 სატყეო უბნის უფროსი და 12 რეინჯერი (ტყის მცველი), აღნიშნული თანამდებობის პირების შერჩევა მოხდა სატყეო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად.

—როგორც ცნობილია, ჩვენი რეგიონი მიიჩნევა ხე-ტყის რესურსით მდიდარ მხარედ და მცდელობაც იმისა, რომ მოხდეს ხე-ტყის უკანონოდ მოპოვება, შესაბამისად, მეტია. სამსახურის უშუალო მოვალეობაა აღკვეთოს მსგავსი ქმედებანი, აგრეთვე, ტყის ჭრის წესების დაცვით, ლიცენზიის მქონე ფირმებზე მომსახურება, მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფა. ძირითადი მიმართულებაა ტყის დაავადებებთან ბრძოლა, რაც შეეხება გაშენებას, ჩვენი ტყე არის თვითგანაშენიანებადი, თუ სწორად მივუდგებით ტყის ჭრის წესებს, ხელოვნური ტყე ჩვენს რეგიონს არ დასჭირდება.

—მთავარი პრობლემა, რომელიც იკვეთება...

—მთავარი პრობლემა, რომელიც იკვეთება, გახლავთ ისევ და ისევ უკანონო ჭრები, ამ მხრივ უფრო პრობლემურია ლენტეხის რაიონი, და ამ ეტაპზე მთავარი პრობლემა, რომელიც გადასაჭრელია და ვფიქრობ, მოგვარებადია, გახლავთ მოსახლეობის საწვავით მომარაგება.

—რა რაოდენობის საშეშე მასალაა გამოყოფილი ლეჩხუმისათვის და რა უნდა გააკეთოს აქ მცხოვრებმა იმისათვის, რომ მოიპოვოს ზამთრისათვის საწვავი?

—ამ კუთხით ცაგერის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია 6000 კუბური მეტრი საშეშე მერქანი, დამატებით გამოიყოფა 4000 კუბური მეტრი, რაც ჯამში გათვლილია აქაური მოსახლეობისათვის და რაც იქნება მათთვის საკმარისი, ეს შეეხება კერძო მოსახლეობას, რაც შეეხება ორგანიზაცია-დაწესებულებებს, მათ შეშა უნდა შეიძინონ ლიცენზიანტებისაგან იგივე ბაზარზე (ეს არის ერთწლიანი ლიცენზიები, ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ მოპოვებული).

ამ ეტაპზე მთავარი მოსახლეობის შეშით მომარაგებაა

პიროვნება შეშის მოპოვებისათვის წერს განცხადებას, სადაც მიუთითებს რაოდენობას, იხდის მოსაკრებლებს ბანკში და შესაბამისი საბუთს წარადგენს თავისი უბნის რეინჯერთან. ერთი კუბური მეტრი წიწვოვანი ხის ღირებულებაა 2 ლარი, ხოლო ფოთლოვანის—3 ლარი.

—რაც შეეხება ხე-მასალის მოპოვებას?

—2005 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლება აქვს მოიპოვოს ხე-ტყის სპეციალური ლიცენზია, მხოლოდ-დამხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ჩატარებული აუქციონით, 2007 წლიდან იქნება გრძელვადიანი ლიცენზიები, ანალოგიურად, აუქციონის წესით, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის, რომელიც განახორციელებს ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

—ჩვენთვის ცნობილია, რომ რაჭაში მოსახლეობის ნაწილი დაკავებულია გირჩების მოპოვება-შეგროვებით და ამისათვის გარკვეულ ანაზღაურებასაც ღებულობენ.

—არსებობს რამდენიმე დაინტერესებული კერძო ფირმა, რომლებიც იბარებენ მხოლოდ-დამხოლოდ სოჭის გირჩებს, რაც მოიპოვება ამბროლაურის სატყეო უბნის, ყოფილი ნიკორწმინდისა და თლუღის სატყეო უბნებზე, შესაბამისად, აუქციონზე იქნა გატანილი სათანადო კვარტლები, სადაც განისაზღვრა ბუნებრივი რესურსების ოდენობა, შემდგომ ამისა დაიწყო ათვისება.

მოპოვებული გირჩი, შესაბამისად დამუშავებული გაღის საზღვარგარეთ და ძირითადად გამოიყენება საახალწლო ნაძვის ხეების მოყვანისათვის.

—ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, რწმუნებულები, აქტიურად უნდა ჩაებნენ მოსახლეობის საშეშე მასალით უზრუნველყოფის საქმეში, უნდა მოხდეს ტყე-კაფების (საშეშე მერქნის) გამოყოფა შესაბამის ადგილებში და მოწესრიგდეს სათანადო დოკუმენტაცია.

თამარ დავითულიანი

წყალმომარაგება—პრობლემებით სავსე!

უწყლობით გამწარებული კიდევ ერთი ზაფხული ჩავიარეთ ქალაქის მცხოვრებმა, ვიმედოვნებთ, აგერ შემოდგომა ჩამოდგება და ცოტა მაინც გაუმჯობესდებათქო ჩვენს ონკანებში არაყივით მოწანწკარე (ხშირ შემთხვევაში კი ასეც არ მოდის...) წყაროს წყალი. თქვენც არ მომიკვდეთ! აგერ შემოდგომის ოქტომბერი ჩამოდგა და სურათი უცვლელია,

აწუხებს, ყველას ძალიან აწუხებს ქალაქში ეს პრობელმა, ათასი კითხვა ჰკიდია ჰაერში, ზოგიც საით იშვერს ხელს, ზოგით საით. ჰოდა, ყველა ამ შეკითხვისათვის პასუხი რომ გაგვეცა, ინტერვიუ ვთხოვეთ შპს „ცაგერის კომუნალური მეურნეობის“ დირექტორს გიორგი ბენიძეს.

ბატონო გოგი! ქალაქის წყლით მომარაგების საქმეში დიდი პრობლემები დაგროვდა, მოსახლეობა უკმაყოფილოა: დავიწყოთ იქიდან, თუ რამდენ შტატიანი თანამშრომელი ემსახურება თქვენი უწყებიდან ამ საქმეს ქალაქში?

—ჩვენს სამსახურს შპს ცაგერის კომუნალური მეურნეობა ჰქვია და 20 თანამშრომელი ემსახურება. აქ შემოდის სასტუმროც და იქ დასაქმებული თანამშრომლები ხელფასს ჩვენი ბიუჯეტიდან არ იღებენ. ხელფასი საშუალო გახდა, ანუ მინიმალური ზღვარი შეადგენს 110 ლარს. სამსახურის ძირითად ფუნქციას ქალაქის წყალმომარაგება წარმოადგენს.

—მინდა ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს რა ხდება, რატომ დაგროვდა ამდენი პრობლემები. ბოლოსდაბოლოს ვინაა დამნაშავე. რა ხდება?

—დავიწყებ იქიდან, რომ ქალაქის წყალსადენი აშენდა დაახლოებით 60 წლის უკან. ამ გაყვანილობის ფაქტიურად არაფერი არ მომატებია, პირიქით ასეთ მწყობრიდან გამოსულ დანადგარებს დაემატა ქვედა ცაგერის წყალმომარაგებაც, რამაც ფაქტიურად უწყლოდ დატოვა ქალაქი, არადა სულ არა ვართ ვალდებული ამ დასახლებას ვემსახურებოდეთ და ვაწვდიდეთ წყალს. ეს ერთი. მეორე, არის 1000 ტონიანი წყლის აუზი, რომლის შევსებასაც ვუნდებით 10 საათი, გვაქვს მარტო ერთი ძრავი, რომელსაც სიძველის გამო მხოლოდ ოთხი საათი ვიმუშავებთ, შემდეგი ოთხი საათი კი უნდა შევასვენოთ. ეს ძრავა 200 კილოვატიანია. აურაცხელი ელექტროენერგიის ხარჯი გვაქვს, გარდა ამისა, თავის დროზე გათვლილი იყო ეს ყველაფერი 700-800 მომხმარებელზე, ახლა 2000-მდე მომხმარებელი ფიქსირდება. ეს კი როგორც ხედავთ სრულიად არასაკმარისია. მთლიანად 24 კმ. მაგისტრალია, როცა წყლის რაოდენობა გროვდება, გაშვების შემდეგ ეს ნაგროვი წყალი ამ ცარიელი მილების შევსებას სჭირდება, ამიტომ აუცილებელია შევსება მთლიანად, არსაც მინიმუმ ორი ძრავა მაინც სჭირდება, ერთს რომ გამორთავ, მეორე უნდა ჩართო. ჩვენ კი ერთი ძრავის ამარა ვართ. ახლა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ომარ ჭაბუკიანი დაგვპირდა დახმარებას მეორე ძრავის შესაძენად და თუ შევძელით ამ პრობლემის გადაჭრას, წყლის პრობლემაც ნაწილობრივ გადაწყდება. ბოლოსდაბოლოს იქნებ იმის საშუალება მაინც უნდა გამოინახოს, რომ თვითდინების წყალი გაკეთდეს. რაც ჩვენ მიმდინარე რემონტებში თანხები გვაქვს დახარჯული. ამ საქმეს ნამდვილად ეყოფოდა.

—რა არის საჭირო იმისთვის, რომ თუნდაც თვითდინების წყალი მოხერხდეს, თუმც საქართველოს პრეზიდენტის ცაგერში სტუმრობის დროს მან თქვა, რომ აქ წყალი მალე იქნება?

—თანხაა საჭირო. მე ეს დაანგარიშებული არ მაქვს. ახალი მილები, დანაგდარებია საჭირო. წყალის დებეტი არის და თუ სავსე იქნება, წყალიც მოგვეწოდება.

—გვაინტერესებს, მოსახლეობის მხოლოდ თანხის ამოღების მდგომარეობა,—იგივე ორგანიზაციებიდან, კომერციული სტრუქტურებიდან, თუმც იმასაც გაიგონებთ—წყალი არ მოდის, რატომ უნდა გადავიხადოთო.

—ამოღება მინიმალურია. სამეურნეო ორგანიზაციები ფაქტიურად არასოდეს არ იხდიან, კომერციული სტრუქტურებით მინიმალურ თანხებს სჯერდებიან. აქ ჩვენი სამსახურიც დამნაშავეა და არაგადამხდელიც. ჩვენ არა გვაქვს არანაირი სამართლებრივი საფუძველი იმათ წინააღმდეგ, ვინც არ იხდის, მილებს ხომ არ გადავუჭრით? 2007 წელში ე—ი წელს, ორგანიზაციებიდან უნდა ჩამორიცხულიყო 18.920 ლარი, შემოტანილია 5338 ლარი, კომერციულებიდან 15385 ლარის ნაცვლად ამოვიღეთ 388 ლარი. ჩვენ არც მათი დასჯისა და დაჯარიმების უფლება გვაქვს.

ჩვენს ქალაქში არსებობს ასეთი ტერმინი „ძველი“ და „ახალი“ მაგისტრალი...

—აქ განსხვავება მხოლოდ ათ წელშია. ერთი 50 წლის უკან გაკეთდა, მეორე 60-ის. ორივე იმუშავებს კარგად, თუ კიდევ ვიმეორებ ძრავების საშუალება, ამოღება და ელექტროენერგიის საშუალება იქნება.

—არავისთვის დასამალი აღარაა, რომ მოსახელობამ თვითნებურად, ინდივიდუალურად დაიწყო წყლის გაყვანა საკუთარ ეზოებში...

—ძალიან ბევრია ასეთი შემთხვევები. ერთ მაგალითს გეტყვით-საავადმყოფოსთვის სპეციალურად გაყვანილი სისტემიდან, მიმდებარე ტერიტორიაზე, 200-250 მოსახლეა და ფაქტიურად ყველა ასე მოიქცა. შემდეგ, აღმოვჩნდით იმ პრობლემის წინაშე, რომ უკვე საავადმყოფოსაც გაუჭირდა. შემდეგ 70 ტონიანი ავზი ცალკე დავდგით, რომ მუდმივი წყალი ჰქონოდათ. ამის მაკონტროლებელი მექანიზმი, კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ არავინ არსებობს. ჩვენი მოსახლეობის უპასუხისგმებლობაც უწყობს ხელს აღნიშნულ უწყლობას. მე ნლებია ვამბობ—ქალაქზე მეტი მომხმარებელი ჰყავს ქვედა ცაგერს. არაერთგზის დავკეტეთ ეს ონკანი, ბოქლომიც დავადეთ, ცივი ელექტროშედუღებაც ვცადეთ, მაგრამ ღამით მიდიან და ჭრიან ლუქებს, დილით ისევ მოშვებულია, ამ ონკანის მოკეტვის შემდეგ ჩვენ გვექნება წყალი, მაგრამ ამას ვერ მივაღწიეთ, არადა არა ვართ ვალდებული მოვემსახუროთ ქვედა ცაგერის მომხმარებელს. ახლა ახალ მაგისტრალს აკეთებენ და თუ ეს ონკანი არ ჩაიკეტა, წყალი ჭალისთავამდე ჩავა და მთლად უწყლოდ დავრჩებით. მოკლედ, იქნებ რაიონის ხელმძღვანელობა დამეხმაროს ორ ძირითად საკითხში—სამეურნეო ორგანიზაციებიდან თანხა ამომაღებინოს და ქვედა ცაგერის მაგისტარლი გადავკეტო, შემდეგ ქალაქში 6-7 საათი წყალი იქნება.

გმადლობთ.

როგორც ხედავთ პრობლემები უამრავია. ყველა ხელს ვაკლებთ, რომ ადამიანებისათვის ეს სასიცოცხლო მოთხოვნილება ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილოთ, არადა რა ჯადოსნური წრესავითაა—წყალი არაა, გაღიზიანებული მოსახლეობა ფულს არ იხდის, ფულისამოღება მინიმალურია, ელექტროენერგიის ხარჯვა მაინც დიდია და ბრუნავს ასე ეს კარუსელი, ჩვენ კი ნლებია უწყლოდ ვათენებთ და ვაღამებთ!

დასკვნა ერთია, ყველამ ამ ფერხულში ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ!

მარინა სვანიძე

„მკურნალი“– ძირითადი ჯოგიანმა მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურებაა

უკვე რამდენიმე წელია პოლიკლინიკურ-ამბოლატორიულ გაერთიანება შპს „მკურნალს“ ნიჭიერი, ახალგაზრდა ექიმი მაია ბაბლუანი ხელმძღვანელობს. თამამად შეიძლება ითქვას, იგი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია და თავადაც, სწორედ, ექიმში ამას ანიჭებს უპირატესობას, ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ მას.

რა შედის თქვენი სამსახურის ფუნქციებში?

—შპს „მკურნალი“ არის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანება და მის ფუნქციებში შედის რაიონის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურება. მის დაქვემდებარებაში შედის თვით რაიონის პოლიკლინიკა და შვიდი სოფლის ამბულატორია და საფერშლო პუნქტები. ჩვენს ბაზაზე ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამები. ძირითადი გახლავთ პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა ანუ მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურება —ორსულთა და ბავშვთა პატრონაჟი, ფტიზიატრიული ანუ ტუბერკულოზიანი, ონკოლოგიური, დიაბეტიანი და ენდოკრინოლოგიური პაციენტების მომსახურება. საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამა არის, ხოლო ის სფეროები, რომლებშიც სახელმწიფო პროგრამებით არ ხორციელდება, ისინი ფასიანი გახლავთ, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობის გამო ასეთი შემონატანები ფაქტობრივად მიზერულია.

—რა მდგომარეობაშია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?

—თქვენ თვითონ ხედავთ რა კატასტროფული მდგომარეობა გახლავთ. ყველაზე დიდი პრობლემა პოლიკლინიკის შენობის ავარიული მდგომარეობაა, სრულიად ამორტიზირებულია, არც შეკეთება უხდება და თანაც ოთახების არასაკმარისი რაოდენობაა. შეგვიძლია ნაწილ-ნაწილი საჭირო ინვენტარის შეძენა და ამით მატერიალურ-ტექნკური ბაზის შექმნა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა გვაფერხებს.

—არ შეიძლება სხვა შენობაში გადასვლა?

-თვითონ სამინისტრომ ჯანდაცვის პირველადი ქსელის აღწერა გააკეთა, მოხდა სრული ინვენტარიზაცია, შეადგინეს გეგმები, გაკეთდა პროექტები, მაგრამ რატომღაც შეჩერდა ამ პროგრამების დაფინანსება და ახლა გვპირდებიან თუკი ინვესტორი გამოჩნდება მოხდება სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია და კერძო მენეჯმენტზე გადაიყვანს საავადმყოფოსაც და პოლიკლინიკასაც, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, დახმარება უახლოეს ხანში თუ არ იქნა, ინვესტორამდე ვერც მივაღწევთ.

—როგორ ფინანსდება თქვენი ორგანიზაცია?

—ძირითადად, ჩვენი დაფინანსების წყარო სახელმწიფო ფედერალური პროგრამებია. 2003 წლის ჩათვლით სერიოზული პრობლემები გვქონდა და ამ მხრივ. ზოგჯერ მიზერულ თანხასაც ვერ ვაძლევდით მედ-პერსონალს და ასეთი მდგომარეობის გამო მუშაობის ხარისხიც დაბალი იყო. დღესდღეობით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია დაფინანსება. რეგულარულად ვღებულობთ ანაზღაურებას. მნიშვნელოვნად გაიზარდა ექიმებისა და მედდების ხელფასი. ასევე მოგვემატა ხარჯების თანხაც, რაც მთლიანობაში საშუალებას გვაძლევს უბნები მოვამარაგოთ პირველადი დახმარების მედიკამენტებით.

—სახელფასო დავალიანებები რომ არ გაქვთ დარჩენილი?

—მთლიანობაში დარჩენილია სამოოთხი თვის სახელფასო დავალიანება. კერძოდ, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს აქვს დაახლოებით 17 000 ლარამდე გასასტუმრებელი, ასევ 4-5 ათასი ლარი ადგილობრივ მუნიციპალურ ფონდს. ამ თანხის აღების შემთხვევაში ბევრ საჭირბოროტო საკითხს გადავწყვეტდით. გვპირდებიან, რომ საბოლოოდ ეს დავალიანებები დაფარული იქნება და ალბათ ასეც იქნება.

-რა ხდება კადრების მხრივ?

—პოლიკლინიკაში შედარებით ახალგაზრდული კოლექტივია, მაგრამ წლებია ახალი კადრი არ აგვიყვანია. ნორმალური ანაზღაურების შემთხვევაში სხვა რაიონიდანაც შეიძლება მოვიწვიოთ ექიმები თუკი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი კადრი არ იქნება.

—ძირითადად, რომელი სპეციალისტების ნაკლებობას განიცდით?

—მაგალითად, არ გვყავს ფსიქიატრი, ნარკოლოგი, ტრავმატოლოგი, ნეფროლოგი. ჩვენთან ზოგადი პროფილის ექიმები არიან ამბულატორიულ ქსელში, მაგრამ ვიწრო სპეიცალისტებიც გვესაჭიროება. ექიმთა გადამზადების პროგრამები, რეზიდენტური იმდენად ძვირია, ამაზე ფიქრიც კი შეუძლებელია.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ თქვენი მომსახურების პროგრამებში ენდოკრინოლოგიური, დიაბეტიანი და ტუბერკულოზიანი პაციენტების პატრონაჟი შედის...

—ენდოკრინოლოგიური ავადმყოფების ვიზიტი ექიმთან უფასო გახლავთ, მაგრამ მედიკამენტები ჩვენთან არ შემოდის. პაციენტმა თვითონ უნდა შეიძინოს წამალი. ადრე ხორციელდებოდა სოციალური პროგრამა იოდ-დეფიციტის გამოწვეული დაავადებული ადამიანებისათვის. ეს პროგრამა გაუქმდა. რაც შეეხება დიაბეტიან პაციენტებს, მათ უფასოდ, ყოველგვარი პრობლემების გარეშე, ურიგდებათ ინსულინი. ასეთივე მდგომარეობაა ტუბერკულოზით დაავადებულთა მიმართ. ის პროგრამა, რასაც „ტუბერკულოზთან ბრძოლის ეროვნული პროგრამა“ ჰქვია, მაქსიმალურად ხორციელდება უკვე რამდენიმე წელია. მედიკამენტები პაციენტებს უფასოდ ურიგდებათ, ყოველგვარი გამოკვლევა—ეს იქნება რენტგენოლოგიური თუ სხვა, ასევე უფასოა. აგრეთვე ასეთ ავადმყოფებს ურიგდებათ პროდუქტი (0,5 ლ. ზეთი, 5 კგ. ფქვილი, 1 კგ. შაქარი). ეს ყველაფერი გაეროს სასურსათო პროგრამით კეთდება.

ბევრია ასეთი ავადმყოფი?

—ჩვენი რაიონის ფონზე ასეთ პაციენტთა რიცხვი აშკარად თვალშისაცემია.

—ადამიანში რომელ თვისებას გამოარჩევდით?

—ერთგულებას, სამართლიანობას.

—ექიმს რას დაუმატებდით?

—ალბათ იგივეს და პროფესიონალიზმს...

ეკა ყვირილიანი

„ყოფილი“ გავრცელების ადგილი

ვაზის სამშობლოში, საქართველოში, ჯიშების მრავალფეროვნებაზე ლაპარაკით ვერავის გააკვირვებთ, მაგრამ ლეჩხუმს სამართლიანად შეუძლია იამყოს საკვენოდ ცნობილი თავისი ნახევრადტკბილი ღვინოებით უსახელოურით, ოჯალეშით და ცოლიკაურით, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ უსახელოურზე, რომელიც ლეჩხუმის მხოლოდ ერთ პატარა მიკრორაიონში ხარობს და ხასიათდება უნიკალური თვისებებით. მისი ვაზი გარეგნულად არაფრით გამოირჩევა, არც გასაშენებლად არის იოლი და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან გავრცელებული აზრის მიხედვით, მსხმოიარობაში შვიდი წლის შემდეგ შედის, საკმაოდ გასაგები ხდება ნაკლები დაინტერესება, რასაც იყურეშის, ოფიტრის, ზუბის, ისუნდრის, მახურისა და ლალაჭეპიტის მოსახლეობა იჩენდა მის მიმართ. ეს ხუთი სოფელი და ნასოფლარი იმიტომ ვახსენე, რომ უსახელოური მათი საკუთრებაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მის ცალკეულ ნარგავებს ლეჩხუმის სხვა სოფლებშიც ვხვდებით. მხედველობაში მაქვს აღვილარჩვალი, ჩხუტელი და ა. შ. მაგრამ თავის განუმეორებელ თვისებებს უსახელოური მხოლოდ ზემოთ დასახლებული ხუთი სოფლისა და ერთი ნასოფლარის სინამდვილეში ავლენს.

ადრე უსახელოურს მანდარიას ღვინოს ეძახდნენ. რადგან ისუნდრელი და ოყურეშელი მანდარიები სამეგრელოდან არიან გადმოსული, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ ვაზის ჯიშიც კოლხეთიდან უნდა იყოს შემოტანილი, რაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან სამეგრელო მევენახეობის რაიონებს არ განეკუთვნება, გამონაკლისია მარტვილის რაიონის სოფელი ბანძა, სადაც დადიანებს, რომლებიც ლეჩხუმელი ჩიქოვანები იყვნენ, ოჯალეშის შესანიშნავი ზვრები ჰქონდათ გაშენებული, მაგრამ უსახელოურის შესახებ ბანძის მოსახლეობას წარმოდგენაც არა აქვს. ზოგს მიაჩნია, რომ მისი წარმოშობა სოფელ უსახელოურთან უნდა იყოს დაკავშირებული, თუმცა კრიტიკას ეს მოსაზრებაც ვერ უძლებს, რადგან ამ დასახლებაში ცალკეულ ნარგავებსაც ვერ შეხვდებით. უფრო უნდა ვივარაუდოთ, რომ უსახელოური ლეჩხუმელი მევენახეების დიდი რუდუნების მიერ გამოყვანილი ადგილობრივი ჯიშია, რომელიც იმდენად განსხვავდება ვაზის დანარჩენი სახეობებისაგან, რომ უსახელოდ დარჩა და ბოლოს უსახელოურის სახელით შევიდა მევენახეობის ისტორიაში.

როგორც მოგახსენეთ, მანდარიას ღვინოს კარგად იცნობდნენ საქართველოში განსაკუთრებით ხონსა და სამეგრელოში, რადგან ამ რაიონებთან ოდითგან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ზუბის, ისუნდრისა და ოყურეშის მოსახლეობას. გადმოგვცემენ, რომ გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში რაიონის სოფელ მათხოჯში სკოლა დამწვარა, რა თქმა უნდა, ძალზე შეაწუხა თურმე ხონის ინტელიგენცია. მათ დახმარება უთხოვიათ რქაპუდლიკის მთავრობისათვის, საბედნიეროდ, იმსანად ტბილისში სტუმრად ყოფილა ჩამოსული საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ კალინინი. მან საჭიროდ ჩათვალა, ჩამოსულიყო მათხოჯში და ადგილზე გაცნობოდა ვითარებას. დიდი სტუმრის საპატივცემულოდ გაშლილ გულითად სუფრაზე მასპინძლებმა მანდარიას ღვინოც მიიტანეს. როცა კალინინმა გასინჯა, შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ მოსკოვში დაბრუნებისთანავე მოახსენა იოსებ სტალინს. ბელადი დაინტრესდა და სპეციალისტები მოავლინა ლეჩხუმში. მათი მონაწილეობით იკრიფებოდა ვაზი, იწურებოდა ღვინო და ილუქებოდა ქვევრები. მეპატრონეებს ეხმარებოდნენ და კარგადაც უხდიდნენ. ღვინო იგზავნებოდა სტალინთან, რომელმაც კარგად იცოდა მისი ფასი და იყენებდა მხოლოდ უმაღლესი დონის შეხვედრაზე მაღალი სტუმრების, მათ შორის ჩერჩილისა და რუზველტის საპატივცემულოდ.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ უსახელოური დიდხანს არ გახსენებიათ, უყურადღებოდ დარჩა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ლეჩხუმში სუფთა უსახელოურის შოვნა გაჭირდა. საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა გასული საუკუნის 70—იან წლებში პარტიის ცაგერის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივნის აწ. განსვენებული მიხეილ გვიშიანის ხელმძღვანელობით. მისი ძალისხმევით შეიქმნა უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, სხვადასხვა დროს მეურნეობის დირექტორებად მუშაობდნენ რუბენ ირემაძე, ჯემალ ჩიკვაიძე, კონსტანტინე ღურჭუმალიძე და ტრისტან ლეთოდიანი. არჩევანი შეჩერდა ცხაკურის ტერიტორიაზე, სადაც უნდა გაშენებულიყო უსახელოურის პლანტაციები. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სავენახე ნიადაგის მოსამზადებლად ტიტანური შრომა გასწია მექანიზატორმა ბუდუ დოლაბერიძემ, იყო პრობლემები, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული ნერგის გამოყვანა, იგრძნობოდა მუშა—ხელის ნაკლებობა, ფერხდებოდა ხელფასების გაცემა, მაგრამ მიშა გვიშიანის ძალისხმევით დაძლეული იქნა ყველა წინააღმდეგობა და გაშენდა უსახელოურის პირველი ჰექტრები, მიღებული იქნა პირველი მოსავალიც, რასაც ასე მოუთმენლად მოელოდა ყველა. ასე მოვედით 90—იან წლებამდე. შემდეგ რაც დაგვემართა, გასამხელი არ არის, ამდენი ნაოფლარი წყალში ჩაგვეყარა, უსახელოურის პლანტაციები, ასე რომ ახარებდა თვალს, უპატრონობით განადგურდა.

მადლობა ღმერთს, რომ ხალხი მალე მოეგო გონს, ყოველ მტკაველ მიწას, სადაც უსახელოური ხარობს, ახლა ოქროს ფასი დაედო. აქტიურობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე რაიონის ფარგლებს გარეთ მაცხოვრებლებიც. ოყურეშში აშენდა ღვინის მინი—ქარხანა, რომელსაც 30 ტონა რკინის გადამუშავება შეუძლია. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ჩვენთვის კარგად ცნობილი ცხაკური, სადაც ახალი პლანტაციების გაშენებაა დაწყებული, იშვიათად შეხვდებით უპატრონოდ დარჩენილ მიწის ნაკვეთს, შორს არ არის დრო, როცა ოყურეშის, ზუბის, ისუნდრის, ოფიტრისა და მახურის მადლიანი მიწა უსახელოურის ზვრებით დაიფარება, ცალკე უნდა აღინიშნოს ლაჭეპიტის შესახებ, სადაც ამ საშვილიშვილო საქმეს ცაგერის ეპარქია ხელმძღვანელობს. ძირფესვიანად შეიცვალა ნერგის გამოყვანის საქმე, ახლა მოსახლეობა ისეთი სარგავი მასალით მარაგდება, რომელიც სამი წლის შემდეგ შედის მსხმოიარობაში. ამ პროცესს ვერავინ შეაჩერებს ვინძლო სიღარიბით დაღდასმული მოსახლეობა ეკონომიურად მოძღიერდეს, მამაპაპისეული კერა არ დატოვოს და თაობიდან თაობას გადასცეს ვაზის სიყვარული და დღემდე შემონახული სტუმარ—მასპინძლობის ლამაზი ტრადიცია.

ამინ!

ომარ ჟაგუჩიანი

კეთილშობილური მისიით

სამშობლოსათვის ზრუნვა საკუთარი ქალაქიდან, საკუთარი ეზოდან, საკუთარი კუთხიდან იწყება. ეს ფრიად ბანალური ფრაზა ორიგინალურობას და ლოგიკურობას დღემდე არ კარგავს.

ჩვენი ქალაქის თითოეულ კუთხეს მეტნაკლებად ესაჭიროება მზრუნველი ხელი.

ცაგერის რაიონული სასამართლოს შენობა, ეზო და შემოგარენი ყოველთვის სამაგალითო გახლდათ არა მარტო ადგილობრივთათვის, არამედ ჩამოსული სტუმრებისთვისაც, რამდენიმე დღის წინ კი სასამართლომ საკუთარი ინიციატივით მიმდებარე ტერიტორიის და ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილის დასუფთავება-მოწესრიგებისკენ მოუწოდა აქაურებს, საბოლოოდ კი ორგანიზატორი და ძირითადი შემსრულებელიც თავად აღმოჩნდა.

სასამართლოს თავმჯდომარის ქალბატონი ლეილა გურგუჩიანის ხელმძღვანელობით სასამართლოს თითოეული თანამშრომელი გულდაგულ ასუფთავებდა რამდენიმე დღის განმავლობაში ამ ტერიტორიას, საკუთარი სახსრებითვე გაამშვენიერეს ამ ადამიანებმა ახლომდებარე გაზონები ახლადდარგული ბზით, რამაც მართლაც უზომო ხიბლი შესძინა აქაურობას. „გული მტკიოდა, რომ ვხედავდი მოსაწესრიგებელი გარემოს, ვფიქრობ, გულხელდაკრეფილნი არ უნდა ვისხდეთ იმის მოლოდინში, ვინ გააკეთებს საქმეს, რომელიც „ჩვენ არ გვეხება“, ყველას მოვუწოდებ თითო ხე მაინც დარგის თავის სახელზე—რაც ყველას შეუძლია“—აღნიშნა ქალბატონმა ლეილამ.

ფრიად სასურველია თითოეულმა ჩვენთაგანმა გავითავისოთ ქალბატონ ლეილას სულისკვეთება—წესრიგის, სამართლის, ენთუზიაზმის საწინდრად.

თამარ დავითულიანი

რედაქციაში წერილი მოვიდა

რაიონში სახელმწიფო ტრანსპორტი რომ შემოვიდა, წელში გასწორდა მოსახლეობა. გაცილებით მისაწვდომ ფასებში დადის ტრანსპორტი შიდასარაიონო მარშრუტებით.

მაგრამ ისევ გვეძვირება და გვეძნელება ქუთაისამდე მგზავრობა. ამას პლუს, მიკროავტობუსებით ჭირს ტვირთის გადატანა.

ამიტომ, მართლაც გულით გავიხარეთ და დიდი მადლობა ამისათვის, რომ სახელმწიფო ავტობუსი ქუთაისამდეც დადის, თანაც შედარებით იაფად.

ეს ჩვენს მდგომარეობას ნამდვილად ამსუბუქებს.

მგზავრები

ალექსანდრე მუშკუდიანის ხსოვნას

2007 წლის 27 სექტემბერს სამუდამოდ წავიდა ჩვენგან დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი ალექსანდრე მუშკუდიანი, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება ოჯახს, ხალხს, სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარა.

ალექსანდრე იასონის ძე მუშკუდიანი დაიბადა 1923 წელს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე 1942 წელს მოქმედ არმიაში გაიწვიეს. 276-ე მსროლელი პოლკის მეავტომატე თავდადებით ებრძოდა გერმანელ ფაშისტებს კავკასიის მისადგომებთან. ერთერთ გააფთრებულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და ოჯახს დაუბრუნდა. რაც ფრონტზე ვერ მოასწრო, ზურგში თავდადებული შრომით თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერების საქმეში. ვენახის სიყვარული წინაპრებისაგან ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი. სწორედ ამ სწრაფვამ აქცია იგი სახელგანთქმულ მევენახედ. მისი სოფლის ლასურიაშის კოლმეურნეობაში მევენახეთა ბრიგადა ჩამოაყალიბეს და ხელმძღვანელობა დააკისრეს. ბრიგადამ, ალექსანდრეს თავკაცობით, ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია, ყურძნის სარეკორდო მოსავლის აღებით, მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი. გარჯა დაუფასდა. მთავრობამ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდებით დააჯილდოვა. მის მკერდს ოქროს წითელი ვარსკვლავი და ლენინის ორდენი ამშვენებდა. 1972 წელს ბატონ ალექსანდრეს საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსია დაენიშნა.

უყვარდა თქმა—ერის ძლიერების ერთ-ერთი წყარო შვილთა სიმრავლეაო. ძლიერი ოჯახი შექმნა, ამაყობდა შვილებით და შვილიშვილებით.

ფრონტზე საშინელი ხოცვა-ჟლეტის მნახველს, ხშირად თავში ფიქრი გაუელვებდა—ღმერთო, ჩემს მიწაზე მაღირსე სიკვდილიო. ნატვრა აუსრულდა. 85 წლის მოხუცმა ომგადახდილმა ვეტერანმა თავის სოფელში დაიმკვიდრა განსასვენებელი.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი მამულიშვილი. დატოვა კვალი ნათელი. მის სახელს ყოველთვის სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებენ ოჯახის წევრები, მეგობრები, ომის ვეტერანები, ყველანი ვინც ამ ნაღდ კაცურ-კაცს იცნობდა.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენს მხრებზე, ძვირფასო მეგობარი.

ღმერთმა იმიერი გაგინათლოს.

ცაგერის რაიონის ომის ვეტერანთა კავშირი

შაღვა გუჩგუჩიანი



ისევ მოვიდა 2 ოქტომბერი უშენოდ შაკუნა. მესამედ ეგებები დაბადების დღეს სასუფეველში შენ კი მუდამ სტუმართმოყვარე სასუფეველიდან დაჭყურებ შენს დამწუხრებულ ოჯახს.

ოხ! რა მძიმეა განაჩენი შვილის დამკარგავი დედისათვის, რომელიც აგრძელებს მტანჯველ ცხოვრებას და უძლებს ტკივილიან მონატრებას. შვილო, მონატრება შენი ღიმილიანი სახე და სიკეთით სავსე თვალები. შაკა ძალიან, ძალიან გვენატრები, მოგიკვდეს დედა. მძიმეა უშენოდ ჩვენი ცხოვრება.

„სიზმარივით გაფრენილო
უდიდესო დარდო,
ამ სიზმარში დაბრუნებას
ღმერთო, როგორ ვნატრობ
მინდა გულში ჩაგიხუტო
ჩემო სანატრელო
მინდა შენი დაღი სახე
სადმე დავინახო
დიდხანს, დიდხანს მოგეფერო
ხმა გავიგო შენი
მინდა გითხრა, რომ უშენოდ
მორჩა ყველაფერი.

ცრემლით და სანთლებით გილოცავთ დაბადების დღეს უზომოთ მონატრებული მშობლები, შენი და, ნათესავები. დედაშენის ტკივილი და მწუხარება უსაშველოა, როგორც ცოცხალს ისე გეფერება და გესაუბრება.

2 ოქტომბერს 33 წელი შეგისრულდა.

ჩვენი საჩუქარი ჩვენი ცრემლი, წმინდა სანთლები და ლამაზი ყვავილები იქნება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ულამაზესი სული. ჩვენ კი ვილოცებთ შენთვის ჩვენო სიამაყევ.

შენი ტანჯული დედა

კარლო (ტოტინა) ჩაკვეტაძე

ერთი წელი გასულა, ცრემლიანი, ტკივილიანი, კოშმარით სავსე ერთი წელი.

ვერაფერი შევცვალეთ ჩვენო ერთადერთო საფიცარო ძამიკო! ასეთი ყოფილა განგების ნება. ბევრს ვლოცულობთ შენი სულისთვის, ცრემლს გაფრქვევთ, გესაუბრებით, მაგრამ...

რა ვქნათ, რა ვიღონოთ, ვერაფერს გშველით. ერთადერთი, რაც შვებას გვგვრის, ისაა რომ უზომო სიყვარული დაგვიტოვე, უზომო სიკეთე, უზომო სითბო. ვფიცავთ შენს სულს, ეს გვასულდგმულებს.

გვიყვარხარ და უსაშველოდ გვენატრები. სიზმარში მაინც მოდი, მოგვესიყვარულე, დაგვარიგე, გვითხარი რამე!

დრო ვერაფერს ცვლის ისევ შენს საფლავთან მოგვიხარია, ისევ შენზე მოგონებებით ვცოცხლობთ. და ეს ასე იქნება, სანამ შენს დებს პირში სული გვიდგას.

დები, დისშვილები ოჯახებით

ცაგერის რაიონის ომის ვეტერანთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვლა ომისა და შრომის ვეტერანი

ალექსანდრე იასონის ძე მუშკუდიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ნაირა ბერაძისა და ნოდარ ცვარიანის ოჯახს დედის და სიდედრის

შურა ბერაძის

გარდაცვალების გამო.

ოსკარი და ჯრეკალიჯრე

ხეცენზიის ნაცვლად... შთაბეჭდილებები

პრემიერამ, რომელიც გრიგოლ მდივნის სახელობის თეატრში შედგა, წარმატებით ჩაიარა. ლადო ასათიანის ტრაგიკული ცხოვრების მზის სინათლეზე გამოტანილმა ეპიზოდებმა ყველაზე გულქვა მაყურებელს და კრიტიკულ თვალსაც კი მოჰგვარა ცრემლი.

ადამიანისთვის, რომელიც ამ დოზით ითვისებს უარყოფით ემოციას, თუმცა ბატონი ოტელო საზოგადოებისთვის უფრო მხიარული ბუნებითა და ხალისიანი იუმორით არის ცნობილი.

ეპიზოდური იყო ბატონ რუბენ გოგიძის როლი, სადგურის გამცილებელი, რეჟისორეს, ბატონ ზაზა ყურაშვილს და ქალბატონ დარეჯან საღინაძეს ალბათ ყველაზე მთავარი, როლი-სათვის ყველაზე მისაღები მსახიობები აურჩევიათ სპექტაკლისთვის, ამიტომაც ოთარ მამფორიას ,,სიჭაბუკის სიმღერამ'' თავისი ხიბლი სრულად უძღვნა მაყურებელს..

ლადოს მამის როლს ბატონი ოტელო მდივანი განასახიერებდა, ბატონი ოტელო, წარსულში ფრიად წარმატებული მსახიობი ჩემს თაობას სცენაზე თითქმის არც უნახავს... სწორედ ამიტომ მინდა მისგან დავიწყო... ტკივილით სავსე მამა, რომელიც იმდენად აფრქვევდა სცენიდან უსაზღვრო ტრაგიზმს, რომ თუ არა ამხელა არტისტიზმი, ასეთი გამოხატულებაც კი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს ერთი ლითად მეგობარს განასახიერებდა, რეჟისორის ემოცია კულისებს მიღმა რჩებოდა...

პოეტის ცხოვრების ორი სიყვარული—ცირა და ანიკო, დარეჯან საღინაძე და მანანა კოპალიანი, ქალბატონი დარეჯანი—ქალი, რომელსაც ლექსებს

რომელშიც დაბნეულობაც, გულშემატკივრობაც და სევდაც ერთიანად იყრიდა თავს და რომლის სამსახიობო ოსტატობაც კარგად არის ცნობილი ჩვენი მაყურებლისათვის.

პოეტის, როგორც თვითონ მოიხსენიებს, ,,დეიდები'' ქუთაისსა და თბილისში გულნაზ გოლეთიანი (ვარდო) და ნატო სილაგაძე (პისტი) მიუხედავად მათი კონტრასტული ხასიათებისა ლადოსადმი სიყვარულს და სითბოს გულდაგულ გამოხატავდნენ.

ნიკა აგიაშვილს—პოეტის მეგობარს და მისი ნიჭის ერთ—ერთ პირველ შემფასებელს და დამფასებელს ზაზა ყურაშვილი განასახიერებდა, არტისტიზმია სწორედ ის რომ კულისებს მიღმა, როგორც რეჟისორი, მითითებებითა და ემოციებით დაღლილი, სცენაზე კვლავ პოეტის გუ-

უძღვნიდნენ და წარსულის მოგონებად დარჩა, ქალბატონი მანანა, მზრუნველი მეუღლე, ლადოს სასთუმალთან ერთადერთ ქალიშვილზე მოსაუბრე.

მსახიობების კრებული—სოზარ ბენდელიანი, ალბერტ ბენდელიანი, გიორგი გოგიძე, ზორბეგ ცვარიანი, ვილგემ კოპალიანი, გიორგი შკუბულიანი—ყოველი მათგანი ინდივიდუალური და როგორც იტყვიან, როლში შეჭრილი.

და ბოლოს, მთავარი როლის შემსრულებელი ვახო გოგიძე—ვახო, ლადო და ცოტაც. რომეო... შექსპირისეული. ცხოვრებაში—რომანტიკოსი და ნიჭიერი...

ვახომ იმდენად გააცოცხლა ლადო ასათიანი, რომ აღფრთოვანებული მაყურებელი ფიზიკურ მსგავსებასაც კი ხედავდა მასში.

უიღბლო და მცირედითაც ვახარებული, ჯანმრთელობაშერყეული და მაინც მეოცნებე, ვახო და ლადო...

იყო დრო, როდესაც ტალანტებს კარდაკარ ეძებდნენ, მერე დიდი მაესტროები მათგან რაღაც უფრო დიდს და ლეგენდარულსაც კი გამოძერწავდნენ ხოლმე ვახოს თავისი ადგილი უკვე ნაპოვნი აქვს, ის როგორც მსახიობი უკვე შედგა, თუნდაც მაშინ, როცა ლეჩხუმის თამამად ვიტყვი—თეატრალურმა საზოგადოებამ (ნამდვილად გვყავს ასეთი საზოგადოება) გულში ჩაიხუტა. მაგრამ მომავალი წარმატებები მას წინ აქვს, დიდ თეატრებს იმსახურებს ვახო გოგიძე, ის აუცილებლად მიაღწევს ასეთ წარმატებებს და მერე, როცა უკვე დიდ მსახიობს საკუთარი ლეჩხუმი ისევ მოითხოვს, არც კი დაფიქრდება, როგორც თვითონ იტყოდა—უბრალოდ, ჩაალაგებს ჩემოდანს და ჩამოვა...

თამარ დავითულიანი

სპორტი

„ხვამლი" წარმატებით იწყებს

ფეხბურთში ანდრო ჟორდანიას თასზე დასავლეთის ზონის პირველობაზე ჭაბუკთა გუნდებს შორის წარმატებით ასპარეზობს ცაგერის „ხვამლის" ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი: პორფილე ჯოპალიანი) გაგაცნობთ ჩატარებული შეხვედრების შედეგებს:

„ხვამლი" ცაგერი_„მერცხალი" ფარცხანაყანევი 1:0 გოლი გაიტანა გიორგი ლიპარტელიანმა

„იმედი" ქუთაისი_„ხვამლი" ცაგერი 0:0.

„ხვამლი" ცაგერი_„დინამო" ქუთაისი 6:2

გოლების ავტორები არიან ბახვა ჯვირიაშვილი_1, გიორგი ხეცურიანი_1, ნიკა საღინაძე_4

3 ტურის შემდეგ „ხვამლი"_7 ქულით მეორე ადგილზეა.

ტურნირი გრძელდება

გ. სილაგაძე
მთ. სპეციალისტი სპორტის დარგში

რედაქციაში წერილი მოგიდა

დაგილოცავთ გულის სითბოს

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოულოდნელად ცუდად გავხდი, ისე ცუდად, რომ ლამის სიკვდილს ჩავხედე თვალებში და ეს ხვამლის მთის მიდამოებში მოხდა, ვინც ჩემს გვერდით იყვნენ, დაუყოვნებლივ სასწრაფო გამოიძახეს. ასეთ მაღალ ადგილზე, ჩვენი გზისა და რელიეფის პირობებში წარმოუდგენლად მალე მოვიდა 03 (მძღოლი სოსო ნემსაძე). ექიმმა დავით გოქაძემ, მედდამ მზია კენჭაძემ ადგილზე პირველადი დახმარება გამიწიეს და რაიონულ საავადმყოფოში გადმომიყვანეს.

უმაღლესი წნევით, თირკმლის შეტევით...

აქ დაგვიხვდნენ ქირურგი დათო ყურაშვილი, საავადმყოფოს მორიგე კოლექტივი, ჩვენს გვერდით გაჩნდა სასწრაფოს მედდა ლია გურგუჩიანი. რა არ გამიკეთეს, რა არ იღონეს, როგორ არ გამამხნევეს და მეორე დღესვე ფეხზე წამომაყენეს.

ახლა კარგად ვარ, სამუშაოზეც გავედი. სიტყვებით ვერ გამოვხატავ ჩემს უსაზღვრო მადლიერებას და იმ გულისხმიერებას, რაც თქვენ გამოიჩინეთ.

დაგილოცავთ გულის სითბოს, ძვირფასო ადამიანებო!

თქვენ იმედით შემოგყურებთ მთელი ლუჩხუმი.

დათო სვანიძე,
ცაგერის სატყეო მეურნეობის რეინჯერი

თორნიკე ყურაშვილის და ბექა ახვლედიანის ტკივილიანი მოგონება

ჩემო თორნიკე! პირველი დაბადების დღე მოვიდა უშენოდ. დაბადების დღე, რომელიც ძალიან გიყვარდა, რომელიც ყოველთვის ქეიფით აღინიშნებოდა. ახლა ცრემლიან-ტირილიანი დაბადების დღედ იქცა. 19 წელი შეგისრულდა—იქ მამაშენთან. შენი დატანჯული დედა, შენი ერთადერთი დაიკო თამუნა დატოვე უნუგეშოდ, ატირებულები, უსაშველოდ დატანჯულები.

შენ მათთვის მოურჩენელი ტკივილი ხარ. 19 წლის ბიჭმა როგორ მოასწარი ამდენი სითბოს და სიყვარულის დათესვა—მთელი წყალტუბო დაგტიროდა, მთელი ზუბი და მთელი ქვედა ცაგერი.

შენზე ბევრი შემიძლია ვწერო ბევრი კარგი გავიხსენო, ეს ყველაფერი წარსულში დარჩა და ძალიან ძნელია შენ, ჩემო თორნიკე! ჩემს გულში მინელებული ცეცხლი გააჩაღე. ჩემო ბექა! მის დაბადების დღეს მეშვიდედ ვხვდებით, ჩემო ბექა, რომელიც შენც ძალიან გიყვარდა და მწამს ორივე ერთად გადაიხდით დაბადების დღეს. ჩემო ბექა, მამაშენს, ტრაგიკულად დაღუპულს შენ ჩააბარე: მამა, შენ იცი და ბუქანამო.

თქვენზე დაუსრულებლად შემიძლია ვწერო და ვიტირო, ჩემს გულში იმდენი დარდია იმდენი ტკივილია.

შეიძლება გავიღიმო, გავიცინო, მაგრამ ამ ღიმილშიც ბევრი სევდაა რა უნდა გისურვოთ ამ დაბადების დღეზე, მხოლოდ უნდა ვილოცოთ, რომ ნათელში და სასუფეველში იყოთ.

თქვენზე უზომოდ
შეყვარებული ზოია ბეგია

საქართველოს მეფეთაგან ყველაზე ღიღხანს იმეფა

ფარნავაზი _იმეფა ყველაზე დიდხანს, 65 წელს. გამეფდა 27 წლის.

ვახტანგ გორგასალი_გამეფდა 475 წელს 15 წლის ასაკში, იმეფა 45 წლის განმავლობაში.

ბაგრატ მეორე_იმეფა 57 წელიწადს, 337-944 წლებში.

გუბაზ პირველი_ეგრის-აფხაზეთის მეფე 755-800 წლებში. იმეფა 45 წლის განმავლობაში.

ლეონ მეორე_ეგრის-აფხაზეთის მეფე 755-800 წლებში. იმეფა 45 წლის განმავლობაში. ლეონ მეორე პირველია, ვინც მეფის ტიტული მიიღო აფხაზეთში.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „შანდარიას სტამბაში"
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23779, 23499